IBSU
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

ამერიკის საგარეო პოლიტიკა ავღანეთში: 9/11-ით გამოწვეული მოვლენების სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ანალიზი

თამარ ქარაზანიშვილი
პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნიკა ჩიტაძე

(სახელი, გვარი)

(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი)

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ივანნა მაჩიტიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
2. ვახტანგ მაისაია, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
3. სანდრა ჯ. ჯონსონი, პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. თამარ ქაროსანიძე, პროფესორი, დოქტორი
2. ბექა ჭედია, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

შესავალი

მე-20 საუკუნის და „ცივი ომის“ დასრულებას, არ მოუტანია ისტორიის დასასრული, როგორც ამას ფრენის ფუკუიამა თავის ფუძემდებლურ ნაშრომში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (1992) ვარაუდობდა. ამის ნაცვლად, მსოფლიოში შეიქმნა კიდევ უფრო რთული საერთაშორისო ვითარება, რომელსაც თავდაპირველად შეცდომით მიიჩნევდნენ „უნიპოლარულ მომენტად“, მაშინ როდესაც ბევრ ძალას, რომელიც კაპიტალისტური და კომუნისტური სამყაროების მეტოქეობის დროს ძალისმიერი მეთოდებით იყო ჩახშობილი, ახლა თავისუფლება მიეცა. აღნიშნული ძალებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული, მიმზიდველი და სახიფათო რელიგიური ექსტემიზმია, რომელიც დღესაც კვებაცს რადიკალურ ტერორისტულ დაჯგუფებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ავღანეთის ომი, რომელიც მოცემული დისერტაციის მთავარი თემაა (აღებულია როგორც შემთხვევის შესწავლა), სწორედ მოქმედებაში მოყვანილი გლობალური რელიგიური ექსტრემიზმის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.11 სექტემბრის მოულოდნელმა ტერორისტულმა თავდასხმები აშშ-ში, როგორც ნიუ იორკის, ისე სხვა ქალაქების სამიზნეებზე, უკანასკნელი თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მსოფლიოს პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორს, ასევე მე-20 და 21-ე საუკუნეებს შორის აშკარა წყალგამყოფს წარმოადგენს. გარკვეულწილად, აღნიშნული თავდასხმები თავისი მნიშვნელობით უტოლდება თავდასხმებს პერლ ჰარბორზე ან „ლუზიტანიის“ ჩაძირვას, თუკი მხედველობაში მივიღებთ ამერიკული საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ გარდაქმნასა და მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაზე მათ უდიდეს ზეგავლენას.

გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს ყოველთვის გააჩნდა ეჭვმიუტანელი უსაფრთხოების განცდა, რასაც ამყარებდა ორი ოკეანით შემოსაზღვრული გეოგრაფიული ფაქტორი, ამერიკის მიწაზე განხორციელებულ სასტიკ თავდასხმას თან სერიოზული შედეგები მოჰყვა. ომმა ავღანეთში, რომელსაც 14 წლის მანძილზე უწყვეტად აწარმოებდა აშშ-ის ორი პრეზიდენტი და თავდაცვის ხუთი მდივანი და რომელიც მიზნად ისახავდა შურისძიებას თავდასხმისთვის, ისევე როგორც შემდგომი თავდასხმების პრევენციას, ვაშინგტონის პოლიტიკის შექმნის მრავალი საყურადღებო მახასიათებელი გამოავლინა. აღნიშნული მახასიათებლების, ასევე მათი ურთიერთქმედებისა და ზეგავლენის შესწავლა მსოფლიო პოლიტიკურ თანამეგობრობაზე, დღემდე წარმოადგენს ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და პოლიტიკის მეცნიერების თანაბარი დაინტერესების საგანს.

ჯორჯ ბუშისთვის, რომლის საპრეზიდენტო კამპანიაც უმეტესწილად შიდა პოლიტიკურ საკითხებზე იყო კონცენტრირებული, 11 სექტემბრის თავდასხმებმა და მიღებულმა გადაწყვეტილებამ ავღანეთში ომის დაწყების შესახებ, სრულად შეცვალა მისი პრეზიდენტობის ხასიათი. ომმა ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-ის

მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერის ფონზე დაიწყო, თანდათანობით დაკარგა პოპულარობა და რაციონალური მხარდაჭერა, რის შედეგადაც რესპუბლიკური ადმინისტრაციის პასივად გადაიქცა. პარალელურად მიმდინარე ომმა ერაყში, რომელიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცოცხალი ძალისა და შეიარაღების უდიდეს ნაწილს მოითხოვდა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აშშ-ის საომარ შესაძლებლობებზე ავღანეთში. აღნიშნული გარემოებების ფონზე, პრეზიდენტ ჯ.ბუშს უხდებოდა შიდა და საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ წიაღში მანევრირება, რამაც სერიოზულად დააზარალა მისი პირადი რეიტინგი და ავნო იმ მიზეზებსაც, რასაც აშშ იყენებდა ავღანეთში ომის საჭიროების დასაბუთების მიზნით.

აშშ-ის 44-ე პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ, დაასრულა ავღანეთში აშშ-ის ხანგრძლივი სამხედრო ჩართულობის და ყურადღება გადმოიტანა სახელმწიფო აღმშენებლობაზე ქვეყნის შიგნით. თუმცა, სწორედ მან მიიღო მემკვიდრეობით აშშ-ის ორივე ომი. პირველ შემთხვევაში, ბ.ობამამ უყოყმანოდ და დაუყოვნებლივ გამოიყვანა აშშ-ის შეიარარებული ძალები ერაყიდან, ხოლო ავღანეთში ამერიკის საბრძოლო მისიის დასრულებას კი მისი ორივე საპრეზიდენტო ვადა დასჭირდა. ჯ.ბუშის მსგავად, ბ.ობამასაც გადაწყვეტილებების მიღება უხდებოდა ოპოზიციურად განწყობილი ძალების, იმედგაცრუებული უცხოელი მოკავშირეების და უსწრაფესად ცვალებადი საერთაშორისო გარემოს ფონზე, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მოითხოვდა სტრატეგიულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას.

სხვა მრავალი დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკას მხოლოდ აღნიშნული ორი პრეზიდენტი არ განსაზღვრავდა და ისინი ხშირად მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულნი ქვეყნის შიგნით არსებულ მნიშვნელოვან ინსტიტუტებზე. აღნიშნული ინსტიტუტებიდან/აქტორებიდან, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკური პარტიები, მედია და საზოგადოებრივი აზრი. ავღანეთის ომი ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა და ჩამოთვლილ ფაქტორებს/ინსტიტუციებს საკვანძო მნიშვნელობა გააჩნდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, განსაზღვრასა და აღსრულებაში, განსაკუთრებით ავღანეთთან მიმართებაში.

აღნიშნული ინსტიტუტების მნიშვნელობას და ფასეულობას განსაკუთრებით გულმოდგინედ აღნიშნავდა გაბრიელ ალმონდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ პოლიტიკა უნდა შევისწავლოთ როგორც ურთიერთქმედებათა სისტემა, ანუ როგორც პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სისტემის ანალიზს ახორციელებდა აღნიშნული სისტემის შემადგენელი, გარკვეული ფუნქციების მქონე სტრუქტურათა წყების რანგში. ამ მხრივ უმთავრეს მოსაზრებას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაში არსებობს გარკვეული რაოდენობის აქტორი (პოლიტიკური პარტიები, ბიუროკრატია, შეიარაღებული ძალები და ა.შ.) და ამ სხვადასხვა აქტორების მოქმედებები ზეგავლენას ახდენს როგორც ერთმანეთზე, ისე მთლიანად სისტემაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

ინსტიტუციური ინტერესთა ჯგუფები (რომლებიც ძირითადად მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს, ბიუროკრატიას და ა.შ სხვადასხვა გზით აყალიბებენ [საკუთარ] ინტერესებს და ახორციელებენ ზეწოლას ხელისუფლებაზე ამ ინტერესების რეალიზების მიზნით.

ამავდროულად, გ.ალმონდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აშშ-ის მოსახლეობის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის ფორმულირებასთან დაკავშირებით და ამტკიცებს, რომ ამერიკელთა განწყობა განმსაზღვრელია საგარეო პოლიტიკური მიდგომის თვალსაზრისით. გ.ალმონდის ჰიპოთეზით, ამერიკელების განწყობაზე გავლენას ახდენს ორი ცვლადი: 1) ცვლილებები შიდა პოლიტიკურ და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში, რაც გულისხმობა სხვადასხვა დონით საგარეო საფრთხის ყოფნას ან არყოფნას და 2) მოსახლეობის სახასიათო წინასწარ მიდრეკილებას. ვერბას, პაის და ეულოს მტკიცებით, „განწყობაში ალმონდი მოიაზრებს მოქნილ და უფორმო რეაქციას ბუნდოვან კონტექსტზე, რომელიც განსაკუთრებით ჩანს საგარეო საქმეებში (2005, გვ. 8). ამრიგად, გ.ალმონდი ცდილობს აჩვენოს, რომ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც თითქმის ყოველთვის რეაქტიულია, კვლავ თამაშობს მნიშვნელოვან როლს აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეებიისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგარეო პოლიტიკაზე (Almond, 1950).

გ.ალმონდის თეორიული მიდგომის პრიზმის გამოყენებით, აღნიშნული დისერტაცია მიზნად ისახავს აშშ-ის ინსტიტუტებს შორის ზემოხსენებული ურთიერთქმედებისა და ურთიერთკავშირის შედეგების შესწავლას, მათი ზეგავლენის ანალიზს ჯორჯ ბუშიდა და ბარაქ ობამას „ავღანურ პოლიტიკაზე“ და საზოგადოებრივი აზრის/განწყობის შემოტანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადის რანგში, რომელიც ზეგავლენას ახდენს როგორც შიდა ინსტიტუტებზე, ისე ზოგადად საგარეო პოლიტიკაზე.

ავღანეთის ომის დაწყებიდან 16 წლის შემდეგ, ომის სხვადასხვა ასპექტების, ისევე როგორც ომის წარმოებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციების პოლიტიკის შესახებ ბევრი რამ იქნა დაწერილი და განხილული. თუმცა, ავღანეთის ომის მნიშვნელობა და ხანგრძლივი ზეგავლენა, კვლავ უბიძგებს მკვლევარებს ახალი თეორიული მიდგომებისა და ანალიტიკური ჩარჩოების მოსინჯვისკენ, რაც შესაძლოა სასარგებლო გამოდგეს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავღანეთის ომის მრავალწახნაგოვან პრობლემასთან დაკავშირებით. წინამდებარე დისერტაცია აღნიშნული მიმართულებით მოკრძალებული წვლილის შეტანის მცდელობას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის მიზანია ავღანეთთან მიმართებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კომპარატიული შესწავლა ჯორჯ ბუშისა და ბარაქ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით. დისერტაციის კვლევის არეალი

მოიცავს ჯ.ბუშის და ბ.ობამას ადმინისტრაციების პერიოდში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დისკურის, გადაწყვეტილებების პრაქტიკის განგრძობითობის ან ცვლილებების შესწავლას და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკის, თეორიისა და დისკურსის თანმიმდევრულობის გაზომვას 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხმებამდე და მათ შემდეგ.

ორი ადმინისტრაციის კომპარატიული ანალიზის გარდა, ნაშრომი ასევე შეისწავლის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მუშაობას გაბრიელ ალმონდის თეორიული ჩარჩოს მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, სადაც აქტორები ზეგავლენას ახდენდნენ და განსაზღვრავდნენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას [ავღანეთთან მიმართებაში]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესწავლილი და გაანალიზებულია მოსახლეობისა და პოლიტიკური ინსტიტუტების როლი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს გაბრიელ ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიის მორგება აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ავღანეთთან მიმართებაზე. აღნიშნული თეორიული ჩარჩოს ფონზე, გაანალიზებულია და შესაბამის კონტექსტში ჩასმულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტორების/ინსტიტუტების ურთიერთქმედება. საგარეო პოლიტიკის შემუშავების მექანიზმი ნაჩვენების ავღანეთის ომის მაგალითზე და განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აშშ-ავღანეთის ურთიერთობაზე განსხვავებულ და ახალ ჭრილში.

დასასრულს, აღნიშნული დისერტაცია, რომელშიც გაშლილია გ.ალმონდის თეორია და შედარებულია აშშ-ის ორი პრეზიდენტის პოლიტიკა ავღანეთთან მიმართებაზე, მიზნად ისახავს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება თეორიის პრაქტიკულ რეალობასთან შერწყმის შედეგად. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ როგორც აშშ-ის პოლიტიკური სისტემის ძირითადი სტრუქტურა, ისე აღნიშნულ სტრუქტურაში არსებული როლები და ფუნქციები მოქმედებაში, რაც წარმოადგენს კვლევის შემდგომი გაგრძელების საფუძველს და გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს საგარეო პოლიტიკით დაკავებული აქტორებისთვის.

საკვლევი კითხვები

წარმოდგენილი დისერტაციის საკვლევი კითხვები შემდეგია:

- როგორ აღიქვამდა ამერიკელი ხალხი ავღანეთის ომს?
- რა ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრი/განწყობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე ავღანეთთან მიმართებაში?

- როგორ ხორციელდება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჯორჯ ბუშისა და ბარაქ ობამას ადმინისტრაციების მმართველობის პერიოდში? რა წარმოადგენს მათი პრეზიდენტობის პერიოდში და წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ცვლილებას და განგრძობითობას?
- როგორ გამოიყურება აშშ-ის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაბრიელ ალმონდის თეორიის მიხედვით.

ჰიპოთეზა

წარმოდგენილ დისერტაციაში მოცემული სამი ურთიერთდაკავშირებული კვლევითი ჰიპოთეზა:

- აშშ-ის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი არ წარმოადგენს მონოლითურ და მყარ სტრუქტურას და არის სხვადასხვა აქტორის/ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ზეწოლის ობიექტი;
- აშშ-ის მოსახლეობის საზოგადოებრივი განწყობა თითქმის ყოველთვის რეაქტიულ ხასიათს ატარებს საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში, თუმცა ძალიან მძლავრი საგარეო შოკის და სათანადო მობილიზების შემთხვევაში, შეუძლია კრიტიკული ზეგავლენის მოხდენა;
- ჯორჯ ბუშის და ბარაქ ობამას ადმინისტრაციების ავღანურ პოლიტიკაში მრავალი მსგავსების მიუხედავად, ჯ.ბუშის პოლიტიკას საწყის ეტაპზე დიდწილად განაპირობებდა მძლავრი საზოგადოებრივი რეაქცია, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა აშშ-ის ძლიერ და ხისტ პასუხს. ბარაქ ობამას პრეზიდენტობისას საჯარო ზეწოლა ასეთი მძლავრი აღარ ყოფილა და ამასთან არსებობდა სხვა მრავალი ანგარიშგასაწევი ფაქტორი. თუმცა, აშშ-ის მოსახლეობის მზარდად უარყოფითმა დამოკიდებულებამ ავღანეთში აშშ-ის ხანგრძლივ ჩართულობასთან დაკავშირებით,ზეგავლენა მოახდინა ბ.ობამას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

ხშირად ამტკიცებენ, რომ აშშ-ის მიერ ავღანეთში (და მოგვიანებით ერაყში) შეჭრის გადაწყვეტილება წარმოადგენდა მუსლიმი მოსახლეობის რადიკალიზებისა და ექსტრემისტული ძალების აღზევების უმთავრეს მიზეზს. ზოგიერთი ასეთი თეორია უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ აშშ-ის გლობალური დომინანტობა საჭიროების შემთხვევაში ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით უნდა დასრულდეს. არსებობს ტენდენცია, რომლის თანახმადაც თანამედროვე ომი ასიმეტრიული და შიდასახელმწიფოებრივი ხასიათისაა განსხვავებით წარსულში სახელმწიფოთა შორის არსებული ომებისგან, რომლებსაც უფრო მეტად კონვენციური ხასიათი გააჩნდათ.

ავღანეთი იყო და არის საკვანძო ქვეყანა, როგორც აშშ-ისთვის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ქვეყანამ გამოიარა მრავალწლიანი ომები, რასაც განაპირობებდა მისი

გეოგრაფიული მდებარეობა აზიის შუაგულში, რომელიც აკავშირებდა სამ ძირითად გეოგრაფიულ რაიონს და ასრულებდა გზაჯვარედინის ფუნქციას მრავალი დაპირისპირებული სახელმწიფოსა და იმპერიისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავღანეთმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, როდესაც იგი ჯორჯ ბუშის და ბარაქ ობამას საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

აღნიშნულის ფონზე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესწავლა ავღანეთთან მიმართებაში, იძლევა ძალიან სასარგებლო ისტორიულ გაკვეთილს ამ ქვეყანასთან ურთიერთობების თვალსაზრისით, სადაც თავმოყრილია ტერორისტთა მსხვილი დაჯგუფებები, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ თანაუგრძნობს. აღნიშნული ასევე გვეხმარება გავიგოთ თუ როგორ იცვლება თანამედროვე ომის ბუნება, რა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი ზესახელმწიფოს პოლიტიკაზე და როგორ ზეგავლენას ახდენენ სისტემაში/სტრუქტურაში მოქმედი საკვანძო ელემენტები აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. აღნიშნული სასარგებლო და გამოყენებადია როგორც პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებთათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ისე მკვლევარებისთვის, რომლებიც აღნიშნული რეგიონის და მონათესავე საკითხების შესწავლით არიან დაინტერესებულნი.

სიახლე

ჯორჯ ბუშის და ბარაქ ობამას ცალკე აღებული ავღანური პოლიტიკის შესახებ არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის მიუხედავად, არსებობს მკაფიოდ გამოკვეთილი ნაპრალი კომპარატიული ანალიზის თვალსაზრისით. კერძოდ, არსებობს ჯორჯ ბუშის და ბარაქ ობამას ავღანური პოლიტიკის ერთიან ისტორიულ ნარატივში ჩასმის და ამ პოლიტიკის ფრთხილი შესწავლის ძალიან მცირე სერიოზული მცდელობა. აღნიშნული მოიცავს როგორც საარჩევნო კამპანიების, ისე საპრეზიდენტო ვადებს.

ამას გარდა, განსაკუთრებით მწირია ისეთი მასალები, სადაც გაანალიზებულია მედიის, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთქმედების პროცესი და მათი როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე. შესაბამისად, მოცემულ დისერტაციაში გამოყენებულია იშვიათი კონცეფციები აღნიშნულ კონტექსტში და მათი მიგნებები და დასკვნები ჯ.ბუშისა და ბ.ობამას პოლიტიკის შესახებ წარმოდგენილია შედარებით ახალი თეორიული ჩარჩოთი.

არსებული აკადემიური შრომების გათვალისწინებით, აღნიშნული დისერტაციის სიახლეს წარმოადგენს ჯ.ბუშის და ბ.ობამას პოლიტიკის ერთ-ერთი თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტის ახლებური ანალიზი და მიდგომა, რომელიც ეფუძნება მყარ თეორიულ საფუძველს, ასევე მკაფიოდ განსაზღვრულ კვლევის მიზნებს და საფუძველს. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ისტორიული რეალიების გაერთიანებას არსებულ გარემოებებთან და აშშ-ის

ინსტიტუტების ფუნქციებისა და მუშაობის შესწავლის გზით, ჯ.ბუშისა და ბ.ობამას საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მათი გავლენის შესწავლას.

კვლევის მეთოდები

დისერტაციის დიზაინი და კვლევის არეალი ბუნებრივად განაპირობებს თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებას. აღნიშნული ტიპის კვლევა ითვალისწინებს ხელმისაწვდომი ლიტერატურის ფართო წინასწარ შესწავლას და შემდგომ კვლევას. ამას გარდა, იგი მნიშვნელობას ანიჭებს ინტერპრეტაციას, კონსტრუქციას და დისკურსს. იგი ასევე მოიცავს ანალიტიკურ მეთოდებს, განმარტებას და არგუმენტების შემუშავებას, რომელიც გამოიყენება კომპლექსურობის, დეტალურობისა და კონტექსტის უკეთ აღსაქმელად.

დისერტაცია ასევე იყენება შემთხვევის ანალიზის (Case Study) მეტოდს. რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა გამოტანილია ორი შემთხვევის ანალიზის საფუძველზე. პირველი მათგანი ეხება წამყვანი ამერიკული პოლიტიკური პარტიების (რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიული პარტია) ევოლუციას და მათ ადაპტაციას ფუნდამენტურად შეცვლილ გარემოებებთან. მეორე ეხება ჯორჯ ბუშისა და ბარაქ ობამას არაოფიციალური „დოქტრინის“ ასპექტებს.

კიდევ ერთი მეთოდს წარმოადგენს კომპარატიული (შედარებითი) ანალიზი. აღნიშნული მოიცავს ორი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის და ავღანური სტრატეგიების შედარებას. მათი მოქმედებებისა და გამოცდილების საფუძველზე, არსებობს შესაძლებლობა დადგინდეს მსგავსებები და განსხვავებები და შეფასდეს მათი გადაწყვეტილებების ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო საბოლოო დასკვნით ასევე შეფასდეს ავღანეთთან მიმართებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პროცესის ძირითადი აქტორების საქმიანობა. დამატებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლადის - საზოგადოებრივი აზრის - აშშ-ის პოლიტიკაზე ზეგავლენის გაზომვის და 2001-2017 წლებშ მისი ისტორიული ტენდენციების დადგენის მიზნით, დისერტაციაში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა ავტორიტეტული და სანდო კვლევითი ორგანიზაციიის მიერ უკვე გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი საზოგადობრივი აზრის კვლევების მონაცემები.

დისერტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მეთოდია კონტენტ ანალიზი, რაც გულისხმობს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი დოკიუმენტების, აშშ-ის სადაზვერვო და თავდაცვის უწყებების მიერ მომზადებული მსოფლიო საფრთხის შეფასების ანგარიშების, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების, სახელმწიფოდ დეპარტამენტისა და თეთრი სახლის რეგულარული მოხსენებების ასევე მნიშვნელოვანი ჟურნალისტური ნამუშევრების, მათ შორის პრეზიდენტების ინტერვიუების მიმოხილვას და შეფასებას.

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ დისერტაცია ასევე შეიცავს სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდს. რესპონდენტთა ექსპერტიზა, ისევე როგორც აშშ-ის ავღანეთში ჩართულობის ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, კომპლექსური პოლიტიკური

პროცესის აღსაქმელად აღნიშნულ ინტერვიუებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. აღნიშნული რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია და მოვლენების მათივე ინტერპრეტაცია კრიტიკული მნიშვნელობისაა ზოგიერთი ანალიტიკური ნაპრალის აღმოსაჩენად და რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

დასასრულს, დისერტაციაშ გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკური ანალიზი, რომელიც გულისხმობს ჯ.ბუშის და ბ.ობამას შიდა და საერთაშორისო სიტყვით მიმართვებში და სხვა წერილობით განცხადებებში ცალკეულ სიტყვებზე (მაგ. ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, ეროვნული უსაფრთხოება და ა.შ.) დაკვირვებით სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული გამოყენებულია აშშ-ის 43-ე და 44-ე პრეზიდენტების რიტორიკაში ძირითადი მსგავსებებისა და განსხვავებების დასაფიქსირებლად.

თეორიული ღირებულება

დისერტაციაში გამოყენებული წამყვანი თეორიული ჩარჩო არის გაბრიელ ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი. დევისის და ლუისის (1972) თანახმად, „სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი არის სისტემური ანალიზის ფორმა, რომელიც პოლიტიკურ სისტემებს განიხილავს როგორც ერთიანსა და კოჰერენტულს და რომლებიც გავლენას ახდენენ საკუთარ გარემოზე და გავლენას განიცდიან ამ უკანასკნელისგან“ (გვ. 73). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის მახასიათებელია „ლეგიტიმური ძალა“, რომელიც მისი ყველა ქმედების საფუძველს წარმოადგენს.

გაბრიელ ალმონდის თანახმად, პოლიტიკური სისტემა არის ქმედებათა სისტემა - პოლიტიკური სისტემის ემპირიულად დაკვირვებადი ქცევა, რომელზეც ზეგავლენას ახდენენ ნორმები ან ინსტიტუტები. პოლიტიკური ინსტიტუტები ან პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკურ როლებს ასრულებენ განიხილებიან იმით, თუ რას აკეთებენ, რატომ აკეთებენ და როგორ აკეთებენ და ის თუ რას აკეთებენ ისინი, როგორ გავლენას ახდენენ იმაზე თუ რას აკეთებენ სხვები. ამავდროულად, როლის კონცეფცია შესაძლოა გულისხმობდეს ოფიციალურ თანამდებობას, არაოფიციალურ პოსტს, ოჯახებს, ელექტორატებს, ბრბოებს, სპონტანურ და ორგანიზებულ დაჯგუფებებს და ა.შ. ამ შემთხვევაში მთავარია თუ როგორ შემოდიან აღნიშნული აქტორები პროცესში და რა ზეგავლენას ახდენენ როგორც პოლიტიკურ სისტემაზე, ისე პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

გაბრიელ ალმონდის როგორც ზოგადად პოლიტიკური სისტემის, ისე ცალკე აღებული ამერიკული პოლიტიკური სისტემის შესახებ არსებული შრომების საინტერესო ასპექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი განწყობის ზეგავლენა. კერძოდ, გ.ალმონდი ამტკიცებდა, რომ ამერიკელებს, რომელთაც ზოგადად არ გააჩნიათ ინტერესი საგარეო პოლიტიკის მიმართ, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში, რაც დამოკიდებულია, „საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ საფრთხეებზე, რომელიც

გულისხმობა სხვადასხვა დონეზე საფრთხის არსებობას ან არარსებობას“ (Almond, 1950, p.78). შესაბამისად, გ.ალმონდის თეორიის განსაკუთრებული და საინტერესო მახასიათებლები შეესაბამება დისერტაციის თემას, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ჯ.ბუშის და ბ.ობამას ავღანური პოლიტიკის ანალიზსა, არამედ ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში არსებულ ძირითად ინსტიტუტებს შორის სისტემურ პროცესებზე დაკვირვებას.

ამას გარდა, გ.ალმონდის თეორიული მოდელით კვლევის ჩატარება, კერძოდ „შეტანა - შედეგის“ გარდაქმნის (input – output conversion) სქემა გვიჩვენებს, როგორ კარგად მუშაობს „ორდონიანი გადაწყვეტილებები“ საგარეო პოლიტიკაში. ინტერესთა ჯგუფებში წარმოდგენილი ამერიკელი ხალხი შერჩეულია „შეტანის“ დონეზე, ანუ რამდენად უჭერენ მხარს/მისაღებია მათთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებები ავღანურ პოლიტიკისთან დაკავშირებით, ხოლო „შედეგის“ დონის პოლიტიკისთვის შედარებულია ორივე ადმინისტრაციის პოლიტიკა. აღნიშნულ პროცესში, გ.ალმონდის კატეგორიზაცია, როგორიცაა პოლიტიკური „ქმედება“, „აღქმა“ და „კონცენტრაცია (CATHEXIS)“ სასარგებლოა საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების ან ეროვნული ინტერესების როლის შემდგომი შესწავლისთვის, ორი პრეზიდენტის ავღანური პოლიტიკისა და სტრატეგიის შედარების კონტექსტში.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ გ.ალმონდის კონცეფციები იშვიათად გამოიყენება სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებში, ხოლო მკვლევარები უფრო მეტად ეყრდნობია პუტნამის ორდონიან თამაშებს, ან სხვა საერთაშორის ურთიერთობებში უფრო ხშირად გამოყენებულ თეორიულ მიდგომებს. თუმცა, დისერტაციაში გამოყენებული თეორიული მოდელის ძველად ან კლასიკურად შერაცხვის მიუხედავად, ნათელია რომ გ.ალმონდის თეორიამ გაუძლო ათწლეულებს და სწრაფად ცვალებად გლობალიზაციის ერას, რაც მიუთითებს მის მაღალ სამეცნიერო ღირებულებაზე.

დისერტაციის თეორიული საფუძველი

დისერტაციის თეორიული ჩარჩოსთვის გამოყენებულ იქნა გაბრიელ ალმონდის წამყვანი შრომები სტრუქტურული ფუნქციონალიზმის შესახებ. კერძოდ, ისეთი შრომები როგორებიცაა: “The Politics of the Developing Areas” (1960), “A Developmental Approach to Political Systems” (1965), “Crisis, Choice and Change – Historical Studies of Political Development” (1973), “Comparative Politics – A Developmental Approach” (1966) და “The Civic Culture “ (Almond and Verba, 1963). აღნიშნული შრომებში მოცემულია გ.ალმონდის თეორიის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ძირითადად ფოკუსირებულია პოლიტიკურ სისტემასა და სისტემის შიგნით პოლიტიკის შემუშავების პროცესზე (აღნიშნული სრულდება სხვადასხვა ინსტიტუტების ურთიერთქმედებით). ამას გარდა, ლიტერატურაში ფიგურირებს ალმონდის (1950) „The American People and Foreign Policy”, რომელშიც წარმოადგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი აზრის ზეგავლეის შესახებ.

აღსანიშნავია, ნაშრომში გამოყენებული ბიბლიოგრაფია ასევე მოიცავს საგარეო პოლიტიკის ანალიზის ზოგიერთი ძირითადი თეორიისა მიმოხილვა/ანალიზს, მათ შორის რაციონალური აქტორის მოდელის (ან რაციონალური აქტორი მიდგომის), ბიუროკრატიული პოლიტიკის, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღების და ჯგუფური აზროვნების თეორიებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიებით არ ამოიწუტება არსებული თეორიული ალტერნატივები, იგი მაინც იძლევა საშუალებას ზოგადად გავეცნოთ მეინსტრიმულ თეორიულ მიდგომებს და წარმოადგენს დასაბუთება/არგუმენტაციას თუ რატომ იქნა გ.ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია შერჩეული ამ ნაშრომისთვის.

კვლევის მიზნებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფა პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული დამოკიდებულება და ურთიერთქმედება. აღნიშნული დისერტაცია მოიცავს პოლიტიკური პარტიების როლის ზოგად მიმოხილვას. ანალოგიურად გამოსაყოფია ლიტერატურა აშშ-ის მედიის როლის შესახებ, ისევე როგორც მედიის ავღანეთის ომის მიმართ დამოკიდებულების ანალიზი და ადამიანებზე და თანამდებობის პირებზე მისი გავლენის შესწავლა. დამატებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი აზრის კვლევით ორგანიზაციების რამდენი კვლევა, სადაც მოცემული ფასეული ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცმები პოპულარული იდეებისა და ცნებების გაზომვის მიზნით. ამას გარდა, ლიტერატურის სია შეიცავს აშშ-ის პრეზიდენტების/მაღალჩინოსნების რამდენიმე მემუარს, სხვადასხვა ანგარიშებს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შესახებ, ნატო-ს ძალისხმევას, კვლევითი ორგანიზაციების ნაშრომებს, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, სამეცნიერო სტატიების, პოლიტიკის დოკუმენტებს, პოლიტიკურ პლატფორმებს, სიტყვით გამოსვლებს და ა.შ.

აღნიშნულ თემაზე არსებული ხელმისაწვდომი ლიტერატურა ნამდვილად მდიდარი და ფართოა, რასაც განაპირობებს როგორც ძლიერი აკადემიური და პრაქტიკული ინტერესი. მოცემული დისერტაციის მოკრძალებულ წვლილს წარმოადგენს ავღანეთთან მიმართებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის რეტროსპექტიული ანალიზი და მიმოხილვა, განსაკუთრებით 2001-2016 წლების პერიოდში. ზოგიერთი სიახლე, რომელიც წარმოდგენილ ნაშრომს შემოაქვს არსებულ შრომებში არის პოლიტიკურ პარტიებს, მედიასა და პრეზიდენტებს შორის ურთიერთქმედების გაზრდილი სკრუტინიზაცია და განსაკუთრებული აქცენტი ამ ურთიერთქმედების გავლენაზე საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება/ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერაზე. ნაშრომი ასევე გვთავაზობს ჯ.ბუშისა და ბ.ობამას ავღანური პოლიტიკის კომპარატიულ ანალიზს და წარმოგვიდგენს კვლევას, რომელიც ემყარება პრეზიდენტთა სიტყვით გამოსვლებს, პოლიტიკური პარტიების პლატფორმებს და ეროვნული საფრთხის შეფასების დოკუმენტებს.

კვლევის შეზღუდვები

წარმოდგენილი დისერტაციის ხასიათი და არეალი ბუნებრივად განაპირობებს აქცენტს თვისებრივ კვლევაზე, მაშინ როდესაც რაოდენობითი კვლევით კომპონენტი ნაკლებად არის წარმოდგენილი. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს კვლევითი კითხვები, რადგანაც ცვლადების კვანტიფიცირება იქნებოდა საკმაოდ რთული პროცესი და ამავდროულად ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა რაიმე სიახლის გამოკვეთა.

დისერტაციაში წარმოდგენული დროითი ხაზი შედარებით უფრო გრძელია ვიდრე ეს სასურველი იქნებოდა, თუმცა მასაც განაპირობებს ფოკუსი კომპარატიულ ანალიზზე. გასაგებია, რომ ავღანეთის ომი იყო საკმაოდ კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი პროცესი და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დეტალურ ანალიზს სავარაუდოდ ტომები დაჭირდება.

დისერტაციის გარდაუვალ შეზღუდვას წარმოადგენს უკანასკნელი 16-17 წლის მანძილზე ყველა მთავარი ინფორმაციის/ანალიზის აღნიშნულ ნაშრომში დამუშავება და მოქცევა. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ავღანეთის მიმართ გამძაფრებული სამეცნიერო დაინტერესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ მხრივ არსებული ლიტერატურის მოცულობა. აღნიშნულ ლიტერატურაში მოცემულია ავღანეთის ომის ყველა ასპექტი და მათ უმრავლესობას საკუთარი უნიკალური სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. თუმცა, აღნიშნული დისერტაციის მოცულობის სიმცირის გათვალისწინებით, შეუძლებელი იქნებოდა ავღანეთის თემატიკაზე დაწერილი ყველა კვლევის ნაშრომში მოქცევა.

აღნიშნული რა თქმა უნდა ეხება აშშ-ის პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლებსა და ინტერვიუებს. ეჭვგარეშეა, რომ ჯ.ბუშისა და ბ.ობამას ყველა ძირითადი სიტყვით გამოსვლა შესაბისად არის შესწავლილი და წარმოდგენილი აღნიშნულ ნაშრომში. თუმცა, მათი პრეზიდენტობის მანძილზე ზოგადად სიტყვით გამოსვლების რაოდენობა გაცილებით მეტია. დისერტაციაში შერჩეული სიტყვით გამოსვლება შესაძლოა შეიცავდეს ავტორის მიკერძოებულობის ნიშნებს და შესაბამისად სამომავლო კვლევისთვის რეკომენდებულია აშშ-ის პრეზიდენტების რიტორიკის სრული სპექტრის გამოყენება.

დასასრულს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობას, რომ ავღანეთის ომის ანალიზისას არსებობის ამ უკანასკნელზე ჯ.ბუშისა და ბ.ობამას სხვა მრავალი საჯარო პოლიტიკის საკითხის გავლენა. შიდა პოლიტიკაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების გარდა, ერაყის ომმა ავღანეთის ომზე სავარაუდოდ ყველაზე დიდი გავლენა იქონია. ამას გარდა, აღნიშნული ორი ომი ხშირად განიხილება როგორც ერთი საგარეო პოლიტიკური ძალისხმევის ნაწილი და შესაბამისად, მათ ერთ კონტექსტშიც აანალიზებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დისერტაცია ღიად კონცენტრირდება ავღანეთის ომსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დისერტაციის კონტექსტში ერაყის ომის ფაქტორის შემოტანა/განხილვა სრულად იყო გამართლებული.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

თავი I. თეორიული ჩარჩო: საგარეო პოლიტიკის შემუშავება ფუნქციონალისტური პერსპექტივიდან

პირველ თავში მოცემულია დისერტაციაში გამოყენებული თეორიული ჩარჩოს ძირითადი მიმართულებები, რომლითაც უნდა აიხსნას ჯ.ბუშის და ბ.ობამას აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს გატარებული პოლიტიკური პროცესები. კერძოდ, მოცემულია გაბრიელ ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ჩამოყალიბების მიმოხილვა და მისი გამოყენების მეთოდები უწყვეტ სისტემურ ანალიზში. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიის გამოყენების ძირითადი მიზანი არის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციულ თეორიების მიღმა წასვლა და როგორც პოლიტიკური სისტემის, ისე სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესების უფრო სტრუქტურული და დეტალური გაგების უზრუნველყოფა. აღნიშნული გულისხმობს განსაკუთრებულ ყურადღებას და ანალიტიკურ ძალისხმევას სისტემის შიგნით მოქმედ სხვადასხვა გავლენიანი პოლიტიკური აქტორის ურთიერთქმედებაზე და ამ ურთიერთქმედების საგარეო პოლიტიკაში ასახვის ზეგავლენის გაზომვას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გ.ალმონდისთვის გაბრიელ ალმონდის თანახმად, პოლიტიკური სისტემა არის ქმედებათა სისტემა - პოლიტიკური სისტემის ემპირიულად დაკვირვებადი ქცევა, რომელზეც ზეგავლენას ახდენენ ნორმები ან ინსტიტუტები. პოლიტიკური ინსტიტუტები ან პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკურ როლებს ასრულებენ განიხილებიან იმით, თუ რას აკეთებენ, რატომ აკეთებენ და როგორ აკეთებენ და ის თუ რას აკეთებენ ისინი, როგორ გავლენას ახდენენ იმაზე თუ რას აკეთებენ სხვები. კონკრეტულად, აღნიშნული პროცესი მოიცავს აღქმას ან შეგნებას, უპირატესობის მინიჭებას, ჩართულობას ან ზეგავლენას (კატექსისი) ისევე როგორც არჩევანის შეფასებას სტანდარტებისა და ღირებულებების მეშვეობით. აღნიშნულის მეშვეობით ასევე შესაძლებელია განსხვავებული პოლიტიკური სისტემების შედარება, ინსტიტუტების პირველადი ანალიზის მიღმა კვლევის გაფართოვება.

გ.ალმონდის თეორიული მიდგომის ძირითადი საფუძვლები ემყარება შეკითხვებს სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ. თეორიისთვის საინტერესოა ფუნქციები და ის შედეგები, რომელიც აღნიშნული ფუნქციების ურთიერთქმედებიდან ან შეპირისპირებიდან დგება. მიიჩნევა, რომ გ.ალმონდის თეორიული კატეგორიზაცია, როგორიცაა პოლიტიკური „ქმედება“, „აღქმა“ და „კატექსისი“, პოლიტიკის კომპლექსური პროცესის შესწავლისა და გაგების უმთავრესი საზომებია. კერძოდ, ეს არის იდენტიფიცირებადი ელემენტების გამოკვეთის და ამ ელემენტებს შორის კომპლექსური კავშირების (რაც ხშირად განსაზღვრავს და აყალიბებს პოლიტიკის კურსს) დადგენის მცდელობა.

გამომდინარე იქიდან, რომ გ.ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია პოლიტიკური მეცნიერების თეორიად ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიური თეორიიდან, აღნიშნული თეორიის კრიტიკოსების ძირითად არგუმენტს წარმოადგენს. გ.ალმონდის მოდელს აკრიტიკებდნენ ზედმეტი რედუქციონიზმის/სიმარტივის მიზეზით და მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული მოდელი არ ერგებოდა უფრო მეტად განვითარებულ და ინსტიტუციურად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს. თუმცა სტრუქუტურული ფუნქციონალიზმის თეორიული მიდგომა ითვალისწინებს სერიოზულ უპირატესობას, მათ შორის იძლევა უფრო მეტად სტრუქტურულირებული და მოდელური ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას, რაც მას საკმაოდ გამოსადეგ თეორიად აქცევს ტაქტიკურ დონეზე სისტემური ანალიზისთვის.

შესაბამისად, გ.ალმონდის თეორიული მოდელის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს „შენატანი-შედეგის“ სქემაზე მორგებული პოლიტიკის გარდქმნის პროცესი, განსაკუთრებით გამოსადეგია ჯ.ბუშის და ბ.ობამას პოლიტიკის ანალიზისთვის ავღანეთთან მიმართებაში. საგარეო პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამოწვლილვით შესწავლის გარდა, აღნიშნული იძლევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ზოგადი კომპარატიული ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას, გამოჰყოფს ძირითად აქტორებს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აფასებს ამერიკის პოლიტიკური სისტემისა და პროცესის სხვადასხვა ასპექტებს.

თავი II. რეგიონული რეალობა: ისტორიული კონტექსტი და ვაშინგტონის მიერ ავღანური პრობლემის ხედვა

დისერტაციის მეორე თავში მოცემული ავღანეთის ისტორიული და გეოგრაფიული, ასევე გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. იგი გამოჰყოფს ავღანეთის ისტორიული მნიშვნელობის ძირითად ტენდენციებს, მიმოიხილავს ქვეყნის ჩართულობას რეგიონულ და იმპერიულ დავებში დიდ სახელმწიფოებს შორის და ომებს, რომლის გადატანაც ავღანეთს მოუწია.

მე-17 საუკუნის შუა პერიოდში, დამოუკიდებელი ავღანეთის გაჩენამ, რომელიც ცნობილი იყო დურანის იმპერიის სახელით, მალევე განაპირობა ქვეყნის დაპირისპირების საგნად ქცევა რუსეთის და ბრიტანეთის იმპერიებს შორის, რომლებიც ცენტრალურ აზიაში გავლენისთვის იბრძოდნენ. შესაბამისად, მოსკოვისა და ლონდონის გეოპოლიტიკურ და სამხედრო სქემებში ავღანეთზე კონტროლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ არც რუსეთს და არც ბრიტანეთს ხელს არ აძლევდათ უშუალო სამხედრო დაპირისპირება ერთმანეთთან, ავღანეთმა შეძლო ფორმალური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, ასევე ხელისუფლებისა და შეიარაღებული ძალების შენარჩუნება.

მას შემდეგ რაც დიდმა ბრიტანეთმა ავღანეთი ფაქტობრივი კოლონიური მმართველობისგან გაათავისუფლა, ახალმიღებული დამოუკიდებლობით, ქვეყანა კვლავ იქცა შიდა

დაპირისპირებისა და არასტაბილურობის კერად. „ცივი ომის“ დაწყების შემდეგ, აშშ-ც და სსრკ-ც ჩართული აღმოჩნდნენ ავღანეთზე ზეგავლენის მოპოვების კონკურენციაში. ვაშინგტონისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო პაკისტანის დასაცავად, რომელიც აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე იყო სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ხოლო სსრკ-ისთვის ეს იყო ქვეყანა რომელთანაც ჰქონდა საერთო საზღვარი და ბუნებრივი სამიზნე კომუნიზმის გავრცელებისა და პოლიტიკური დამორჩილების თვალსაზრისით.

შედეგად, კომუნისტური გადატრიალების შემდეგ, ავღანეთი გადაიქცა ჩამოყალიბებულ საბჭოთა სატელიტად და ღიად მარქსისტულ-ლენინისტური მთავრობით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელმძღვანელობა მალევე დაეჭვდა ავღანელი კომუნისტების კავშირებით დასავლეთთან და 1979 წელს ქვეყანაში ჯარები შეიყვანა მოქმედი ლიდერის დასამხობად და საბჭოთა მარიონეტის დასასმელად, რითაც ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციის პერიოდი დაიწყო, რასაც შედეგად მოჯაჰედების გააქტიურება და სისხლიანი სამოქალაქო ომი მოჰყვა. საბოლოოდ, ქვეყანაში ძალაუფლება ხელში ტერორისტულმა ორგანიზაცია „თალიბანმა“ ჩაიგდო, რისი შედეგებიც ყველასთვის ცნობილია.

ავღანეთის ისტორიული და რეგიონული მნიშვნელობის ზოგადი მიმოხილვისთვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავღანეთს საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოებისთვის, არამედ მეზობელი ქვეყნებისთვისაც. განსაკუთრებით გამოსაყოფია ის გარემოება, რომ ავღანეთი ესაზღვრება ბირთვული იარაღის მქონე რამდენიმე ქვეყანას, რომელთაც ამოძრავებთ არა მხოლოდ რეგიონული დომინანტობის, არამედ ძალის პოლუსად ჩამოყალიბების სურვილი. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნებიან ჩინეთი მისი დიდი მოსახლეობით, შეუზღუდავი ეკონომიკური შესაძლებლობებით და სწრაფად მოდერნიზებადი შეიარაღებული ძალებით, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გამოწვევა შეუქმნან ნებისმიერ სახელმწიფოს აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში. ასეთივე სტატუსის მატარებელია ინდოეთი, რომელსაც გააჩნია ყველა ჩამოთვლილი უპირატესობა, თუმცა უფრო მეტად შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობა. მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კუთხით არის პაკისტანი, რომელსაც განიხილავენ ქვეყანას, რომელსაც ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს ავღანეთზე.

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაკისტანის ზეგავლენა ავღანეთში მოქმედი რადიკალურ/ექსტრემისტულ ჯგუფებზე, განსაკუთრებით კი „თალიბანზე“. მიიჩნევა, რომ პაკისტანი დახმარებას უწევს აღნიშნულ ჯგუფებს, რათა ერთის მხრივ შეინარჩუნოს კონტროლი ავღანეთის პოლიტიკაზე და მეორეს მხრივ ხელი შეუშალოს ინდოეთის ზეგავლენის გაძლიერებას. თავის მხრივ, ინდოეთი ცდილობს საყრდენის გაძლიერებას ავღანეთში და ამ მიზნით ქაბულთან აფორმებს ხელსაყრელ სავაჭრო ხელშერულებებებს და ფინანსური დახმარების შეთანხმებებს.

შედეგად, ავღანეთის ისტორიისა და გეოგრაფიია, ისევე როგორც სოციალური და ეკონომიკური ვითარების მიმოხილვა ცხადჰყოფს, რომ ღარიბ, განუვითარებელ და ჩაკეტილ

სახელმწიფოს, რომელსაც აწუხებს ნარკოტიკებით, ადამიანებით და იარაღით ვაჭრობის, ასევე რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემები, შესაძლებელია გააჩნდეს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. მართლაც, ქვეყანა არის თითქმის ყველა მეზობლის სამიზნე, რაც ავღანეთის ისედაც ქაოტურ და არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოსთან კომბინაციაში, კიდევ უფრო ზრდის მუდმივი კონფრონტაციის რისკებს.

თავი III. ავღანეთში ომის „აღქმა“

დისერტაციის თეორიული მიდგომის შესაბამისად, აღნიშნული თავი ძირითად ფოკუსირებულია აღქმის ფენომენზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ გაანალიზებულია ის, თუ როგორ აღიქვამდე ამერიკელი ხალხი/ამომრჩეველი ავღანეთის ომს. შესაბამისად, მოცემული თავი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

- აშშ-ის შეჭრა ავღანეთში
- ომი ტერორიზმის წინააღმდეგ
- ნატო-ს სამშვიდობო მისია
- სახელმწიფოს აღმშენებლობა დემოკრატიის ხელშეწყობის გზით

ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო კამპანია და საჯაროდ გაჟღერებული პოლიტიკა მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მიდრეკილი იყო შიდა პოლიტიკაზე ორიენტირებულ პრეზიდენტობაზე, ვიდრე საგარეო პოლიტიკური „ქორის“ სტატუსზე. თუმცა, 11 სექტემბრის მოულოდნელმა ტერაქტებმა და ავღანეთის მიერ ტერაქტების ორგანიზატორების გადმოცემაზე უარის თქმამ, აშშ-ის უბიძგა სამხედრო ოპერაციის დაწყებისკენ.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკიდურესად შეზღუდულ დროში საკმაოდ ფართო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა. შეჭრის/დაბომბვის კამპანია დაიწყო 2001 წლის 7 ნოემბერს და ძირითადად ფოკუსირებული იყო საჰაერო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე აშშ-ის მოკავშირე ჩრდილოეთის ალიანსის ინტერესებში, რომელიც დაკომპლექტებული იყო „თალიბანის“ მოწინააღმდეგე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით. მათ ხმელეთზე დახმარებას უწევდნენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო საიდუმლო თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფნდნე აშშ-ის ავიაციისთვის და სპეცდანიშნულების ძალებისთვის სიგნალების გადაცემას და შემდეგ „თალიბანის“ ობიექტების განადგურებას. შედეგად, აშშ-მა მალევე მიაღწია სრულ გამარჯვებას - „თალიბანი“ და „ალ-ყაიდა“ ქვეყნიდან განიდევნა, ავღანეთი გათავისუფლდა და ხელისუფლებაში აშშ-ის მოკავშირე ძალა მოვიდა. ეს ყველაფერი განხორციელდა ძალიან შეზღუდული ფინანსური დანახარჯებით და მცირე დანაკარგებით ცოცხალ ძალაში.

თუმცა ავღანეთის მუდმივმა შიდა არასტაბილურობამ და აშშ-ის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმების განმეორების შიშმა, ვაშინგტონტს უბიძგა ავღანეთში სამხედრო ყოფნის განუსაზღვრელი დროით გაგრძელებისკენ. ავღანეთში ომი გამოცხადდა ომად ტერორიზმის წინააღმდეგ (პრეზიდენტ ჯ.ბუშის მიერ 2001 წლის 20 სექტემბერს). მთავარ იდეა, რომელიც დომინირებდა როგორც აშშ-ის მოსახლეობაში, ისე ძირითად გადაწყვეტილების მიმღებებში იყო ის, რომ აშშ ეომებოდა ერთ სახელმწიფოზე უფრო დიდს და ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორც საშიში ან მტრულად განწყობილი იყო ამ ერთი სახელმწიფოს მმართველი რეჟიმი. მეორეს მხრივ, ავღანეთის ომი სარგებლობდა „კარგი ომის“ სტატუსით. ამას განაპირობებდა ის, რომ ომი დაიწყო არაპროვოცირებული ტერაქტებით უდანაშაულო სამოქალაქო პირების წინააღმდეგ და გააჩნდა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა.

საგულისხმია აღინიშნოს, რომ 2003 წელს აშშ-მა დაიწყო კიდევ ერთი ომი ერაყში, რომელიც ასევე განიხილებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ნაწილად, თუმცა ერაყის მმართველი რეჟიმის კავშირი ტერორისტებთან აშკარად არ იყო გამოკვეთილი. აღნიშნულმა გამოიწვია მასობრივი იმედგაცრუება როგორც მუსლიმურ ქვეყნებში, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ აშშ-ის პოლიტიკა იყო თანამედროვე ჯვაროსნული ლაშქრობა ისე ამერიკის მოსახლეობაში, რომელსაც აღარ სურდა კიდევ ერთი ძვირადღირებული და ხანგრძლივი ომი. აღნიშნულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ავღანეთში ომზე.

საერთო ჯამში, ჯ.ბუშის ადმინისტრაციის განცხადებით, ტერორიზმის წინააღმდეგ ომის შედეგები ასე გამოიყურებოდა: 1) „თალიბანის“ რეპრესიული რეჟიმის მოსპობა 2) „ალ-ყაიდას“ თავშესაფრების განადგურება, საიდანაც მათ შეეძლოთ დაგეგმვა, წვრთნა და ოპერაციების ჩატარება 3) „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელი პირების, ოპერაციების მმართველების და მთავარი ხელშემწყობის პირების ორი მესამედის განადგურება ან შეპყრობა 4) 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზატორების უმრავლესობის მოსპობა ან შეპყრობა და 5) „ალ-ყაიდასთან“ ასოცირებული მრავალი პირის დაკავება 100-ზე მეტ სახელმწიფოში.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მხარს უჭერდნენ ვაშინგტონის წარმოებულ საბრძოლო მისიას ავღანეთში, მათ არ სურდათ ამ ტვირთის მხოლოდ საკუთარი ძალებით ტარება. შესაბამისად, ჯ.ბუშისა და ბ.ობამას ადმინისტრაციებისთვის მნიშვნელოვანი იყო ომისთვის დამატებითი ლეგიტიმაციის მიცემა, როგორიც შეიძლება ყოფილიყო ძლიერი, უნივერსალურად აღიარებული საერთაშორისო მანდატი.

გამომდინარე იქიდან, რომ 11 სექტემბრის ტერაქტები დასავლურმა თანამეგობრობამ უპირობოდ მიიჩნია აგრესიად აშშ-ის წინააღმდეგ, აშშ-ის ძალისხმევამ მალევე მოიპოვა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა. 11 სექტემბრის ტერაქტებმა უბიძგა ნატო-ს აემოქმედებინა მე-5 მუხლი აშშ-ის დასაცავად და გამოეყო ათასობით სამხედრო მოსამსახურე ავღანეთის ომისთვის. ნატო-ს თავდაპირველ მისიას ავღანეთშ ეწოდებოდა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები და მისი მანდატი მოიცავდა

ავღანეთის ხელისუფლებისთვის დახმარების დაწევას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ოპერაციების ჩატარებას, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესს და ავღანეთის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის ზედამხედველობას.

სამხედრო ჩართულობის გარდა, ნატო ასევე უზრუნველყოფდა რეგიონული აღმშენებლობის გუნდებს, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურის აღდგენა და ავღანეთის მთავრობის შიდა შესაძლებლობების ამაღლება. თუმცა, აღნიშნული პროცესი ვერ გამოირჩეოდა თანმიმდევრულობით და უფრო მეტად ფოკუსირებული იყო სამხედრო და არა სამოქალაქო ამოცანების გადაჭრაზე, რასაც შედეგად ავღანეთის მოსახლეობაშ უნდობლობის გაჩენა მოჰყვა. საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების ნაწილობრივი წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზს სწორედ ზემოაღნიშნული ტენდენცია წარმოადგენდა.

ამასთან, ავღანეთის ომის გაჭიანურების და „თალიბანის“ დაბრუნების ფონზე, ნატო-ს წევრ ქვეყნებს აღარ გააჩნდათ ავღანეთში ჯარების გაგზავნის სურვილი. ამის მიზეზს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა ქვეყნებში არსებული შიდა ზეწოლა, რასაც ამყარებდა დაღუპულთა რიცხვის ზრდა. შედეგად, ნატო-ს ზოგიერთმა სახელმწიფომ დაიწყო ე.წ. „დათქმების“ გამოყენება, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა მათი საბრძოლო ეფექტურობა. 2015 წლიდან ავღანეთში მოქმედებს ნატო-ს ახალი მისია („მტკიცე მხარდაჭერის“ მისია), რომელსაც შედარებით ვიწროდ განსაზღვრული მიზნები აქვს და მის ფუნქციებში საბრძოლო ოპერაციების ჩატარება არ შედის.

აშშ-ის მთავრობის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება ავღანეთთან მიმართებაში იყო ის, რომ არ დაეშვა ავღანეთის კიდევ ერთხელ გადაქცევა „თალიბანის“ საყრდენად. ამ მიზნით, საწყისი ყოყმანის მიუხედავად, პრეზიდენტმ ჯ.ბუშმა წამოიწყო მასშტაბური სახელმწიფოებრივი აღმშენელობის ძალისხმევა. აღნიშნული ითვალისწინებდა ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტების - არმიის, პოლიციის და სკოლების აღმშენებლობას. 2014 წლის ივნისისთვის, აშშ-ის დახარჯული ჰქონდა 100 მლრდ აშშ დოლარი ავღანეთის რეკონსტრუქციის პროცესისთვის.

მისი წინამორბედისგან განსხვავებით, პრეზიდენტ ბ.ობამას არ გააჩნდა დაინტერესება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესით და უმჯობესად მიიჩნევდა სამხედრო კომპონენტზე ფოკუსირებას და მრავალმხრივი ძალისხმევის უზრუნველყოფას. თუმცა, მას არ შეეძლო უკვე დაწყებული პროცესის მიტოვება და სამხედრო ამოცანების გარდა, აშშ-ის და ნატო-ს ძალებს ასევე დავალებული ჰქონდათ კორუფციასთან ბრძოლა, თუმცა შეზღუდული მასშტაბით. პრეზიდენტმა ობამამ ასევე შეკვეცა პრეზიდენტ ბუშის მიერ წამოწყებული დემოკრატიის ხელშეწყობის ძალისხმევა, რადგან მიაჩნდა რომ ამით ხდებოდა აშშ-ის რესურსების გამოფიტვა და აშშ-ის მუსლიმი მოკავშირეების გაუცხოვება, რომლებიც

მიიჩნევდნენ, რომ მომავალში თვითონ აღმოჩნდებოდნენ „დემოკრატიის გავრცელების“ სამიზნეები.

უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ავღანეთში აშშ-ის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და დემოკრატიზაციის ძალისხმევამ სრულად განიცადა კრახი. აშშ-ის და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე ავღანეთი ვერ შეძლებდა რეგიონულ პროექტებში ჩართვას. დღესაც, ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები რკინიგზის, მილსადენებისა და გზატკეცილების მშენებლობის მიზნით, რომლებიც ავღანეთს აკავშირებენ თითოეულ მეზობელ სახელმწიფოსთან და რეგიონულ ძალებთან, მათ შორისაა მარშრუტები კავკასიისა და შავი ზღვისკენ. ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ ავღანეთში მიღწეული პროგრესი დემოკრატიისა და არჩევნების თვალსაზრისით, ასევე მიღწევები წერა-კითხვის მაჩვენებლების გაზრდის და ქალთა ხელშეწყობის შესახებ. ფართო გავრცელებული კორუფციის, ნარკოტიკებით შეუზღუდავი ვაჭრობისა და სისხლიანი სამოქალაქო ომით დატოვებული დაპირისპირების ფონზე, ავღანეთი მაინც ახერხებს თავიდან აირიდოს არშემდგარ სახელმწიფოდ გადაქცევა, თუმცა გამოწვევები მაინც ძლიერია.

საერთო ჯამში, ჩამოთვლილი ოთხი წახნაგისგან შემდგარი აღქმის პრიზმა გამოიყენება აშშ-ის მოსახლეობის და სხვა აქტორების ავღანეთის ომისადმი მხარდაჭერის ცვლილებების ასახსნელად. კერძოდ, ომი ავღანეთში არასოდეს განიხილებოდა ერთ ცალკეულ ჭრილში და იგი ყოველთვის აერთიანებდა სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ ძალისხმევას. თუმცა, აღქმის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობა ყოველთვის უფრო მზადაა მხარი დაუჭიროს შედარებით ლეგიტიმურ მიზნებს, როგორიცაა სამშვიდო ოპერაციის ჩატარება, ვიდრე შედარებით აბსტრაქტულ კონცეფციას ტერორიზმის წინააღმდეგ ომის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შესახებ, რომელსაც გამოკვეთილი დასასრული არ გააჩნია და ბევრისთვის მოკლებულია რაციონალურ საწყისსაც.

თავი IV. აშშ-ის პოლიტიკური ქმედების - კონცენტრაციის (CATHEXIS) - ანალიზი ავღანეთში

დისერტაციის მეოთხე თავში განხილულია გაბრიელ ალმონდის თეორიული მოდელით გათვალისწინებული კომპონენტები, კერძოდ, წარმოდგენილია პოლიტიკური სისტემის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტის ანალიზი. წინამდებარე ნაშრომის შემთხვევაში, აღნიშნული სამი კომპონენტი შერჩეულ იქნა ამერიკის პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენის გათვალისწინებით:

- წამყვანი პოლიტიკური პარტიების
- მედია საშუალებები
- საზოგადოებრივი აზრი

აშშ-ში ამჟამად დარეგისტრირებული რამდენიმე ათეული პოლიტიკური პარტიიდან, რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიული პარტია ყველაზე გავლენიანი, ფართო რესურსების მქონე და ავტორიტეტული პოლიტიკური ძალებია. აშშ-ის ისტორიის უმეტესი პერიოდის მანძილზე, აღნიშნული პოლიტიკური პარტიები მწვავე კონკურენციაში იმყოფებიან ერთმანეთთან პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით. სწორედ ამ პარტიების წარმომადგენლები იკავებენ ადგილებს სენატში, წარმომადგენელთა პალატასა და თეთრ სახლში.

რესპუბლიკურ პარტიასა და დემოკრატიულ პარტიას შორის მკაფიოდ გამოკვეთილი ფილოსოფიური განსხვავებაა. რესპუბლიკური პარტია მხარს უჭერს ფისკალურ და სოციალ კონსერვატიზმს და ემხრობა აშშ-ის აქტიურ ჩართულობას საზღვარგარეთ, მაშინ როდესაც დემოკრატიული პარტია იზიარებს სოციალური ლიბერალიზმის და პროგრესივიზმის ფასეულობებს და უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ადამიანთა უფლებებზე. აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, პარტიები ყოველთვის ცდილობენ მიიმხრონ ზომიერი ამომრჩევლები და მოსახლეობას შესთავაზონ დაბალანსებული პოზიციები პოლიტიკის სხვადასხვა საკითხზე. ორივე პარტიაში ექსტრემისტული ჯგუფების აღზევებას („ჩაის სმის წვეულება“ რესპუბლიკურ პარტიაში და „დაიკავე უოლ სტრიტი“ დემოკრატიულ პარტიაში) ამ მხრივ გადამწყვეტი გავლენა არ ჰქონია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც საქმე ეხება აშშ-ის ინტერესებს საზღვარგარეთ, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც მხარს უჭერენ აქტიურ ჩართულობას, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „რესპუბლიკურ პარტიას“ უფრო მეტად ახასიათებს „ქორული“ მიდგომა მის მთავარ მოწინააღმდეგესთან შედარებით. შესაბამისად, როდესაც დღის წესრიგში დგება საგარეო საქმეებში კომპეტენტურობის საკითხები, ამერიკელი ამომრჩევლები უპირატესობას ანიჭებენ რესპუბლიკურ პარტიას, ხოლო დემოკრატიულ პარტიას უფრო მეტად ენდობიან სოციალურ საკითხებსა და შიდა პოლიტიკის სხვა ასპექტებზე. შესაბამისად, პარტიებს უწევთ მუდმივი ადაპტაცია ცვალებადი გარემოებებიდან გამომდინარე, რათა უკეთესად წარმოაჩინონ საკუთარი პოზიციები ამერიული ელექტორატისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

ავღანეთის ომმა კიდევ უფრო დაახლოვა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების პოლიტიკური პლატფორმები. ამის მიზეზს წარმოადგენდა რესპუბლიკური პარტიის უპირობო დომინანტობა 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ. კერძოდ, პრეზიდენტ ბუშისა და მისი თანაგუნდელები რეიტინგმა მნიშვნელოვნად მოიმატა და მათ საშუალება მისცა ჰყოლოდათ უმრავლესობა აშშ-ის კონგრესში. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა დემოკრატიული პარტიის მხრიდან, რომელმაც გაამკაცრა პოლიტიკური რიტიორიკა და ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, ისევე რტოგორც აშშ-ის დაცვა საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრეს პრიორიტეტებად გამოაცხადა. დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მზარდი თანხვედრა, განსაკუთრებით ავღანეთთან მიმართებაში არსებულ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიებთან მიმართებაში განსაკუთრებით ნათელია

ავღანეთში ომის პირველ წლებში. ამერიკელი პოლიტიკოსები რეგულარულად აფიქსირებდნენ მხარდაჭერას ავღანეთში ომის მიმართ. მათ იგრძნეს საყოველთაო ეროვნული განწყობა და ცდილობდნენ ამ მხრივ მოგების მიღებას.

აღნიშნულმა აჩვენა, რომ ამერიკული პოლიტიკური პარტიები, საგარეო პოლიტიკის შექმნაში უპირატესობის და სხვა მოთამაშეებისგან კონკურენციის ნაკლებობის პირობებშიც კი, ხშირად იძულებულნი არიან მიჰყვნენ საზოგადოებრივ აზრს. ავღანეთის ომის პერიოდში, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური პლატფორმები, ისევე როგორც წამყვანი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა ძირითადი სიტყვით გამოსვლების კონტენტ-ანალიზი ცხადჰყოფს აღნიშნულ ტენდენციას. იგი ასევე აჩვენებს, რომ პარტიული პოლიტიკა შესაძლოა ერთდროულად იყოს უკიდურესად დამყოფი (ერაყის ომი) და გამაერთიანებელი (ავღანეთის ომი).

ამერიკის მოსახლეობის მედიით უდიდესი დაინტერესების ფონზე, ეს უკანასკნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაზე. მედიის ფართო ყოფნა მას საშუალებას აძლევს განსაზღვროს და ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და საფუძველი შეუქნას პოლიტიკურ დღის წესრიგს. თუმცა, ყველაზე საინტერესოა ის, რომ მედია თავადაც არ არის დაცული საზოგადოებრივი აზრის ფართო გავლენისგან და ხშირად უხდება შესაბამისად აუწყოს ფეხი ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციებს.

ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი აშშ-ის მედიის შემთხვევაში 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, როდესაც აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი სრულად იყო ფოკუსირებული მომდევნო ტერორისტული თავდასხმით გამოწვეულ შიშზე. ამან თავის მხრივ გაზარდა მოთხოვნა ტერორიზმთან დაკავშირებულ თემატიკაზე, სადაც მოქალაქეებს სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ სათანადოდ იყვნენ დაცულნი და აშშ „კარგ ომში“ იყო ჩართული. ამას გარდა, ტერორისტული თავდასხმების სკალამ და ფსიქოლოგიურმა ეფექტმა ფაქტობრივად უბიძგა მედიას დაეკავებინა აშშ-ის მთავრობის მხარდამჭერი პოზიცია და პოზიტიურად გაეშუქებინა ავღანეთის ომი (ხაზგასმა დაბალ საწყის დანაკარგებზე).

მედიის აღნიშნული დამოკიდებულება ავღანეთის ომის მიმართა მეტნაკლებად შენარჩუნდა ჯ.ბუშისა და ბ.ობამას პრეზიდენტობისას. თუმცა, ამერიკულ საზოგადოებრივ აზრში მომხდარი გარდატეხა, რომელიც ვეღარ ეგუებოდა ხანგრძლივ ომს, მედიაშიც სათანადოდ აისახა. მედიამ უპასუხა საზოგადოებრივ განწყობას - მან შეინარჩუნა ძირითადად მხარდამჭერი ტონი, თუმცა დაიწყო კრიტიკა მისი ცალკეული ასპექტების კრიტიკა, როგორიცაა მიმდინარეობა, ჩართულობა და ამოცანის ბუნდოვანება. აღნიშნული კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი მედიის (სოციალური ქსელების) წინ წამოწევის ფონზე, რომელიც კიდევ უფრო ნეგატიურად ეკიდებოდა აშშ-ის საგარეო ჩართულობას და შესაბამის ინფორმაციას აწვდიდა ახალი ამბების ამერიკელ მომხმარებლებს. ამჟამად მიიჩნევა, რომ

ხსენებულმა გარდატეხამ ასევე უბიძგა ვაშინგტონს დაეწყო ავღანეთიდან ჯარების გაყვანის პროცესი.

სისტემის გავლენიანი ინსტიტუტების ანალიზის პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აზრი. ბიზნესის მსგავსად, პოლიტიკური კლასი და მედია ყოველთვის მზადა არიან მოერგონ ახალ რეალობას და დააკმაყოფილონ საკუთარი მომხმარებლების - ამომრჩევლების და მყიდველების მოთხოვნები. შესაბამისად, საზოგადოებრივი ნებისმიერ პოლიტიკურ სქემაში, იქნება ეს საგარეო თუ საშინაო, მნიშვნელოვანი ცვლადის სახით ფიგურირებს.

ამჟამად ნათელია რომ 11 სექტემბრის ტერაქტებს ხანგრძლივი და ღრმა ზეგავლენა ჰქონდათ ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე. ავტორიტეტული კვლევები ცხადჰყოფს, რომ მრავალი წლის მანძილზე, ამერიკელებს აშფოთებდათ შემდგომი ტერაქტების შესაძლებლობა და შესაბამისად სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ ვაშინგტონის ძალისხმევას, იქნებოდა ეს საჰაერო კამპანია, ფარული ოპერაციები თუ სახმელეთო შეჭრა და ამას სათანადოდ იყენებდა ორივე პრეზიდენტი საკუთარი პოლიტიკის დასასაბუთებლად.

თუმცა, კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი კორელაცია ამერიკელების მიერ ავღანეთის ომის (ზოგადად ომი ტერორიზმის წინააღმდეგ) მხარდაჭერის სურვილსა და შემდგომი ტერორისტული თავდასხმის გარდაუვალობას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო დაუცველად გრძნობდნენ თავს ამერიკელები მომდევნო მასშტაბური ტერორისტული თავდასხმის წინაშე, მით უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი აგრესიული პოლიტიკის მხარდასაჭერად და პირიქით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება ისაა, რომ რაც უფრო მეტი დრო გავიდა 11 სექტემბრის ტერაქტებიდან, ამერიკელებს სულ უფრო ნაკლებად გააჩნდათ შიშის განცდა კიდევ ერთი მასშტაბური ტერაქტის განხორციელების მიმართ.

საერთო ჯამში, კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე საკვანძო კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას საჯარო დამოკიდებულებასა და პოლიტიკის გადაწყვეტილებებს შორის. ნათელია, რომ საზოგადოებრივ აზრზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 11 სექტემბრის ტერაქტებმა, ისევე როგორც მომდევნო ტერაქტებისა და მასობრივი ნგრევის შიშმა, რაც საფრთხეს უქმნიდა ამერიკულ ცხოვრების წესს. თავის მხრივ, მედიამ და საზოგადოებამ ამას უპასუხა უკიდურესად ფართო მხარდაჭერით აშშ-ის მთავრობის პოლიტიკის მიმართ ავღანეთთან მიმართებაში, რის ფარგლებშიც შეიცვალა სარედაქციო პოლიტიკა (ღიად პრო-ამერიკული, პრო-სამხედრო) და პოლიტიკურ პლატფორმები (ტერორიზმთან ბრძოლისა და საზღვარგარეთული სამხედრო ჩართულობის პრიორიტეტულობის გაზრდა).

ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ საგარეო სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული მასშტაბური დანახარჯების გარდა, საზოგადოებრივი დამოკიდებულების ეტაპობრივი ცვლილება ავღანეთის ომთან მიმართებაში ასევე გამოიწვია ავღანეთის ომის ასოცირებამ ერაყის ომთან,

რამაც შეცვალა საფრთხის აღქმა ამერიკის მოსახლეობაში გარდაუვალ ტერორისტულ თავდასხმასთან დაკავშირებით. ასევე გავლენა იქონია აშშ-ის მისიის შეცვლამ ვიწროდ განსაზღვრული „ალ-ყაიდას დამარცხება და ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია“ ნაცვლად უფრო ფართო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ამოცანით. დამატებით, აღსანიშნავია მასშტაბური ტერაქტების შემდგომი პრევენცია აშშ-ის ტერიტორიაზე, რამაც შეამცირა ამერიკის მოსახლეობაში არსებული საფრთხის განცდა და ამომრჩევლებს უბიძგა მეტი ყურადღება დასუსტებული ალ-ყაიდას ნაცვლად აშშ-ის ეკონომიკისთვის დაეთმოთ.

აღნიშნული თავი სრულდება გაბრიელ ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიის განხილვით, სადაც აღიარებულია სტრუქტურების უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკურ პარტიებს, მედიასა და საზოგადოებრივ აზრს შორის არსებულმა კავშირმა და ურთიერთქმედებამ მათ მისცა საკუთარი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა, ინტერესების არტიკულაციის, პოლიტიკური კომუნიკაციის და ინტერესების თავმოყრის თვალსაზრისით. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო „შეტანა-შედეგის“ პროცესის ამოქმედებას, როდესაც საჯარო მოთხოვნები და საჭიროებები, რომლებზეც ზეგავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმა და მედიამ, მიიღეს, დაამუშავეს და გაითვალისწინეს წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საბოლოო ჯამში ქვეყნის პრეზიდენტებმაც.

თავი V. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შეფასება ავღანეთთან მიმართებაში ჯორჯ ბუშის და ბარაქ ობამას ადმინისტრაციების პერიოდში

დისერტაციის უკანასკნელ თავში მოცემულია ჯორჯ ბუშისა და ბარაქ ობამას ავღანური პოლიტიკის შედარებით ანალიზი. თავში ასევე განხილულია აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები გასული 16 წლის პერსპექტივაში და განხილულია აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების მიდგომები. შესაბამისად, თავი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

- ჯორჯ ბუშის პოლიტიკა ავღანეთთან მიმართებაში
- ბარაქ ობამას პოლიტიკა ავღანეთთან მიმართებაში
- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საფრთხის აღქმის ჭრილში

მისი სხვა მრავალი თანამემამულის მსგავსად, 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმები ჯორჯ ბუშისა პოლიტიკურ ფილოსოფიასა და პოლიტიკაში წყალგამყოფი აღმოჩნდა. აშში-ს 43-ე პრეზიდენტი, რომელსაც ძალიან მოკრძალებული გამოცდილება გააჩნდა საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მოულოდნელად აღმოჩნდა საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ლიდერი და მოუწია საკუთარი საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის დღის წესრიგის გადახედვა.

ამავდროულად, ჯორჯ ბუშის გარემოცვა შედგებოდა ნეოკონსერვატორი თანამდებობის პირთა ჯგუფისგან, რომელთა გაცხადებული იდეოლოგიაც იყო ამერიკული იდეალების, მათ შორის წარმომადგენლობითი დემოკრატიის გავრცელება საზღვარგარეთ. შესაბამისად, ისინი მხარს უჭერდნენ მტკიცე და მძლავრ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებას. ბუშის ადმინისტრაციაში ასეთ გავლენიან პირებს განეკუთვნებოდნენ ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი და თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი.

საკვანძო ფრაზა, რომელიც ყველაზე ზუსტად აღწერს ჯორჯ ბუშის პოლიტიკას არის „თავისუფლების დღის წესრიგი“, რომელიც ითვალისწინებდა მრავალწახნაგოვან ძალისხმევას არა მხოლოდ ტერორისტული ჯგუფების დასუსტება/განადგურებას არამედ სამიზნე ქვეყნებში აშშ-სადმი მეგობრულად განწყობილი რეჟიმების ხელშეწყობას. შესაბამისად, ჯორჯ ბუშის პოლიტიკა ფოკუსის მიხედვით ორ ფართო კატეგორიად შესაძლებელია დავყოთ: 1) განსაკუთრებული ყურადღება მასობრივი განადგურების იარაღსა და ტერორიზმზე და 2) დემოკრატიისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ხელშეწყობა.

ამ მხრივ ჯ.ბუშის პრეზიდენტობის მთავარი იდეოლოგიური პრინციპები მის დოქტრინაში უნდა ვეძიოთ. აშშ-ის 43-ე პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური ამოცანები და მიზნები „ბუშის დოქტრინაში“ ოთხი საყრდენის სახით გვხვდება: უნილატერალიზმი, პრე-ემფციული ომი, ტირანიის დასასრული და ამერიკული ჰეგემონიის განმტკიცება. აღნიშნული პრინციპბი ხაზგასმულია პრეზიდენტის თითქმის ყველა მთავარ სიტყვით გამოსვლაში საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ, ისევე როგორც აშშ-ის თავდაცვისა და უსაფრთხოების ფედერალურ დოკუმენტებში.

პრეზიდენტ ჯ.ბუშთან შედარებით, პრეზიდენტი ბ.ობამას საგარეო პოლიტიკური აზროვნება უფრო მეტად რეალიზმთან იდგა ახლოს. ბ.ობამა არ ლობირებდა საზღვარგარეთ ამერიკული იდეალების ძალადობრივად გავრცელების იდეას და აცხადებდა რომ არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა ამისთვის საჭირო ავტორიტეტი ან უფლება. ამის ნაცვლად, ბ.ობამა უფრო მეტად ფოკუსირებული იყო შიდა პოლიტიკაზე და მხარს უჭერდა აშშ-ის საზღვარგარეთული სამხედრო ვალდებულებების შეკვეცას.

პრეზიდენტ ჯ.ბუშსა და პრეზიდენტ ბ.ობამას აერთიანებდა გამოუცდელობა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. თუმცა, ორივე პრეზიდენტს მოუწიათ უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საგარეო პოლიტიკური კრიზისის - ავღანეთის ომის და საერთაშორისო ტერორიზმისთვის თავის გართმევა.

ამ მიზნის მისაღწევად, პრეზიდენტმა ბ.ობამამ გარშემო შემოიკრიბა საგარეო პოლიტიკური რეალისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აშშ-ს ყურადღება უნდა მიექცია შედარებით ვიწროდ განსაზღვრული მიზნების მიღწევისკენ და არ უნდა ჩართულიყო სახელმწიფო აღმშენებლობის უწესრიგო და ძვირადღირებულ პროცესში. ბ.ობამამ გაითვალისწინა

აღნიშნული რჩევა და ჯერ სრულად გამოიყვანა აშშ-ის შეიარაღებული ძალები ერაყიდა, ხოლო ავღანეთში საწყისი „ზვირთის“ შემდეგ, 2014 წელს დაასრულა საბრძოლო მისია.

ჯ.ბუშისა და ბ.ობამას მიერ ავღანეთის ომის წარმართვის უმთავრეს განსხვავებას წარმოადგენდა აღნიშნული ომისთვის დათმობილი ყურადღება და პრიორიტეტულობის ხარისხი. მართლაც, პრეზიდენტი ბუში უფრო მეტად ფოკუსირებული იყო ერაყის ომზე, რაც მას ავღანეთის ომზე კონცენტრაციის დაკარგვად დაუჯდა. ამასთან, პრეზიდენტი ბ.ობამა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ერაყის ომს და მას საჭირო ომად არ მიიჩნევდა. მეორეს მხრივ, იგი ყოველთვის მხარს უჭერდა ავღანეთის ომს და გააძლიერა კიდეც აშშ-ის ძალისხმევა „თალიბანის“ გაძლიერების შესაჩერებლად იქამდე, სანამ ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების ეტაპობრივი გაყვანის პროცესი დაიწყებოდა.

ბ.ობამას დოქტრინის ანალიზი მნიშვნელოვანია მისი წინამორბედის დოქტრინასთან თვისებრივი განსხვავებების დადგენის მიზნით. კერძოდ, ობამა უფრო მეტად იყო ფოკუსირებული ჩართულობაზე ვიდრე უნილატერალიზმზე. ამას გარდა, მას მიაჩნდა რომ უკანა რიგებიდან ლიდერობის სტრატეგია უფრო მეტად პრაგმატული და პროდუქტიული იყო, ვიდრე ნებისმიერი მსოფლიო კრიზისის დროს წინა რიგებში ყოფნა. დამატებით, იგი იზიარებდა საგარეო პოლიტიკურ რეალიზმს და მიაჩნდა რომ პრეზიდენტ ბუშის იდეალიზმი შედარებით თავზეხელაღებული და აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის საზიანო იყო.

თუმცა, აშკარა განსხვავებების მიუხედავად, ჯ.ბუშისა და ბ.ობამას პრეზიდენტობების ანალიზი მიუთითებს პრეზიდენტების ავღანური პოლიტიკის ღია მსგავსებებზეც. პოლიტიკური მემკვიდრეობის ამ მოდელს ალბათ ყველაზე კარგად აღწერა ფრაზა „სტრატეგიული კონტინუუმი.“ არც ერთ პრეზიდენტს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ავღანეთი ომის ლეგიტიმურობა და არ განუცხადებია რომ ამ ომის წარმოება არ ღიდა. ამის ნაცვლად, ისინი აღიარებდნენ რომ ავღანეთში სასწორზე იდო აშშ-ის ფუნდამენტური ინტერესები. ამიტომაც, ერაყის რთული ომის მიუხედავად, პრეზიდენტმა ბუშმა არ შეამცირა ჯარების რაოდენობა ავღანეთში, ხოლო პრეზიდენტმა ობამამ საბრძოლო მისიის დასრულების მიუხედავად გადაწყვიტა ავღანეთში დაეტოვებინა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი რათა თავიდან აერიდებინა ავღანეთის არშემდგარ სახელმწიფოდ კიდევ ერთხელ გარდაქმნის საფრთხე.

შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ორივე პრეზიდენტის პოლიტიკას დიდწილად განსაზღვრავდა ინსტიტუტების (მედია და პოლიტიკური პარტიები) ზეგავლენა და საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა. წინა თავში მოცემული ანალიზის თანახმად, გარდატეხა საზოგადოებრივ აზრში, ისევე როგორც მნიშვნელოვანი საგარეო და შიდა პოლიტიკური მოვლენები საკვანძო მნიშვნელობა გააჩნდათ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას. არასწორი იქნება ვიგულისხმოთ, რომ ორივე პრეზიდენტი ბრმად მიჰყვებოდა საზოგადოებრივ აზრს, პოლიტიკურ ელიტას ან მედიას, თუმცა მათი ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების კონტენტ ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ

ზემოჩამოთვლილ ფაქტორთა ზეგავლენა, რომელიც სამწუხაროდ არ არის ადვილად კვანტიფიცირებადი ცნება. თუმცა, ეს გავლენა ასახულია წამყვან საგარეო პოლიტიკურ დოკუმენტებში, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და სადაზვერვო სამსახურების ყოველწლიური საფრთხის შეფასებებში.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების ყოველწლიური საფრთხის შეფასებები ალბათ ყველაზე უკეთ ასახავს აშშ-ში საფრთხის აღქმას. თავდაპირველად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, მოგვიანებით კი ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი, ყოველწლიურად აქვეყნებენ აშშ-ის ინტერესების წინააღმდეგ არსებულ შესაძლო საფრთხეებს მსოფლიოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტებში ტერორიზმზე განსაკუთრებული ხაზგასმა დაიწყო მხოლოდ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად ფოკუსირებული იყო ტერორიზმსა და ისლამურ რადიკალიზმზე. თუმცა, გლობალური ტერორიზმის საფრთხის ტენდენციის შესუსტება და ამერიკელი ხალხის ყურადღების გადატანა სხვა სახის საფრთხეებზე (ეკონომიკური, კიბერ, ახალი გამოწვევები სირიაში), ეტაპობრივად გამოიწვია ყურადღების გადატანა ავღანეთიდან სხვა საკითხებზე.

აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ჯერაც არ ჩამოუყალიბებია ამომწურავი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. თუმცა, ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის საფრთხის გაძლიერების და „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების ავღანეთში გადადინების ფონზე, ვაშინგტონი კიდევ ერთხელ იძულებულია რომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმოს რეგიონს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა დონალდ ტრამპმა ავღანეთში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის 3000 ჯარისკაცით გაზრდა ნაცვლად ამ კონტინგენტის სრულად გამოყვანისა, როგორც ეს მის წინასაარჩევნო დაპირებებში იყო გაჟღერებული. ავღანური გაკვეთილები, ისევე როგორც ჯ.ბუშისა და ბ.ობამას ადმინისტრაციის წარმატებები და ჩავარდნები ამ მხრივ გასათვალისწინებელია და ტერორიზმის მზარდი საფრთხის ფონზე, ავღანური პოლიტიკის ფრთხილ და პრაგმატულ დაგეგმვას მოითხოვს.

დასკვნა

აღნიშნული დისერტაციის მიზანს წარმოადგენს პრეზიდენტ ჯ.ბუშისა და პრეზიდენტ ბ.ობამას პოლიტიკის შედარება ავღანეთის ომის კონტექსტში, რომელიც გაანალიზებულია გაბრიელ ალმონდის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიული ჩარჩოს მეშვეობით. ანალიზი ცხადჰყოფს,რომ გავლენიანი პოლიტიკური ინსტიტუტები (ამ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები და მედია) და საზოგადოებრივი აზრი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.

ამავდროულად, ანალიზმს ასევე აჩვენა რომ გარეშე მოვლენებს/ხდომილებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ჩამოთვლილ ინსტიტუტებზე, რადგან დემოკრატიულ და თავისუფალი ბაზის მქონე გარემოშე, ძალები ბუნებრივად რეაგირებენ

შეცვლილ გარემოებებზე, ევოლუციისა და თვითგადარჩენის მიზნით. სწორედ ამიტომ, ჯ.ბუშისა და ბ.ობამას ადმინისტრაციების პოლიტიკა ჩამოყალიბდა აშშ-ის მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთქმედების კონტექსტში, სადაც თითოეულ მათგანს უწევდა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.

თეორიული თვალსაზრისით, დისერტაციაში გაშუქებულია თუ როგორ არიან ჩართულები შესაბამისი ინსტიტურები - საჯარო ჯგუფები, მედია და პოლიტიკური პარტიები „შეტანა-შედეგის“ პოლიტიკური გარდაქმნის მექანიზმში. წინამდებარე ნაშრომი ასევე გვთავაზობს პერსპექტივას, თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული მექანიზმი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე თეთრ სახლში (რესპუბლიკური პარტიის ან დემოკრატიული პარტიის მმართველობის პირობებში), განსაკუთრებით ავღანეთის ომის მაგალითზე, რომელიც სრულყოფილად ამტკიცებს დისერტაციაში წარმოდგენილ ძირითად ჰიპოთეზას.

ავღანეთის ომი ჯერ არ გამხდარა უახლესი ისტორიის ნაწილი და კვლავ ისტორიის მიმართულებაზე მისი გავლენის და მნიშვნელობის სრულად აღსაქმელად კვლავაც დიდი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო. სამომავლოდ, მას შემდეგ რაც ხელმისაწვდომი გახდება საიდუმლო მასალები და სხვა ფარული დეტალები, ახალი გარემოებების საფუძველზე შესაძლებელი იქნება წინამდებარე კვლევის მუდმივი განახლება და შესწორება.

პუბლიკაციები:

- Karazanishvili, T., (2017). *Public Mood and Its Influence on US Afghan Policy during G. W. Bush and B. Obama Administrations – G. Almond's Structural-Functional Approach.* 10th International Conference on American Studies. Tbilisi, Georgia. pp. 57-67.
- Karazanishvili, T., (2012). *Limits of U.S. Power in the Current Global World*. Journal of Social Sciences, Volume 1, Issue 1. pp. 44-52.
- Karazanishvili, T., (2012). *Current Challenges and Perspectives of U.S. Global Role in World Affairs*. Proceedings of the 7th Silk Road Conference. Tbilisi-Batumi, Georgia. pp. 393-398.
- Karazanishvili, T., (2010). *Promotion of American Policy in Afghanistan: Challenges and Problems*. Annual International Conference on American Studies. Tbilisi, Georgia. pp. 66-71.